სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/139

ქ. თბილისი 15 10 2020 წ.

ზოგიერთი აპლიკანტის, 2020 წლის საშემოდგომო მიღებაზე მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარჩენილი ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ვადების განსაზღვრის შესახებ.

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის MES 0 20 0000964653 08/10/2020 ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2020 წელს ზოგიერთი აპლიკანტის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარჩენილი ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, 2020 წლის 16 ოქტომბრიდან 2020 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 17:00 საათამდე უნდა წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (იხ. დანართი №1).
2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის ფაკულტეტზე, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა (იხ.დანართი №2).

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთლი).
4. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

რექტორი დავით გურგენიძე

დანართი №1

რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

1. დაბადების მოწმობის ასლი;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. ორი ფერადი ფოტოსურათი (3x4სმ) ამობეჭდილი და მისი ელექტრონული ვერსია (CD დისკზე);
4. სამხედრო დოკუმენტის ასლი (სამხედროვალდებულთათვის);
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული დოკუმენტები - საბაზო/სრული განათლების ატესტატი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

1. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები“, „ჰაერის კონდიცირება“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „ღონისძიების ორგანიზება“, „ავტომობილის ძრავის შეკეთება“, „ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება“, „საბაჟო საქმე“, „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „სარკინიგზო გადაზიდვები“, „მექატრონიკა“ სტუ-ის I კორპუსი, მე-7 სართული, ოთახი №725, საკონტაქტო ტელეფონი: 595745727